საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №177/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 18 ოქტომბრის №177 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, არაერთი მოთხოვნის მიუხედავად არ ბარდება განჩინება და სასამართლოში მის მიერ წარდგენილი სარჩელის დედანი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2019 წლის 4 ივლისს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - სოციალური მომსახურების სააგენტოს -- -- მიმართ სოციალური სამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით. 2019 წლის 8 ივლისის განჩინებით -- -- უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე.

2019 წლის 21 აგვისტოს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და სარჩელის დაბრუნება ითხოვა. მოსამართლის თანაშემწის მიერ შედგენილი აქტის მიხედვით, 2019 წლის 19 სექტემბერს სასამართლოში გამოცხადდა მოსარჩელე სარჩელის დედანის და თანდართული მასალების, ასევე სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ 2019 წლის 8 ივლისის განჩინების ჩაბარების მიზნით, რაზეც უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება იმ დღის რიცხვით უნდა ყოფილიყო.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 9 დეკემბრის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 18 ოქტომბრის №177 საჩივრის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის

75[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, გასნაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას.

მოცემულ შემთხვევაში საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ განჩინების, სარჩელის და თანდართული მასალების ჩაბარების ვალდებულების დარღვევას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების მიხედვით, ამ კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებულ პირებს მოსამართლისათვის სარჩელის (განცხადების) გადაცემიდან არა უადრეს 5 და არა უგვიანეს 14 დღისა მათ მიერ მითითებულ ტელეფონის ნომრებზე ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართებზე ეგზავნებათ შეტყობინება ან სასამართლოში გამოცხადების შედეგად ეცნობებათ სარჩელის (განცხადების) მიღებაზე უარის თქმის შესახებ ან სასამართლო გზავნილის (სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ასლების) მათ მიერ მოპასუხისათვის ჩაბარების თაობაზე; სარჩელის (განცხადების) მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება მოსარჩელის მიერ განჩინების ჩაბარებიდან, ხოლო ჩაუბარებლობის შემთხვევაში – ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან მეორე დღეს.

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინება ჩაბარდება მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი დოკუმენტები.

საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელემ სასამართლოს სარჩელის და თანდართული მასალების ჩაბარების თხოვნით მიმართა 2019 წლის 21 აგვისტოს, რის ჩაბარებაზეც 2019 წლის 19 სექტემბერს უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის განჩინება არ იყო იმ დღის რიცხვით, აღნიშნული დასტურდება მოსამართლის თანაშემწის მიერ შედგენილი აქტით.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლემ ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრთაგან 9 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №177/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი